ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

გაცნობის თარიღი

03.12.2014

გაცემის თარიღი

03.12.2014

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შპს მწვანე სახლი 404997740
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1268082
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1268082

1. ეთქვას უარი განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან არსებული ბოძის დემონტაჟსა და ახალი ბოძის განთავსებაზე საკითხის განსახილველად და ნებართვის მისაღებად საჭიროა მიმართოთ თბილისის არქიტექტურის სამსახურის. გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს მიენიჭა უფლებამოსილება ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის სახელით მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე ან/და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე იმ შენობა–ნაგებობების მონტაჟის ან/და არსებულ შენობა–ნაგებობაზე სამუშაოების წარმოების შესახებ, რომლისთვის გამოსაყენებელი ტერიტორია არ აღემატება 6 კვადრატულ მეტრს.

დამატებით, აღვნიშნავთ, რომ თუ იგეგმება ახალი ქსელის მოწყობა თვითმმართველი ერთეულის / ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სათანადო საპროექტო დოკუმენტაცია (პროექტი, მოსაწყობი ხაზობრივი ნაგებობის საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელ. ვერსია, ფოტოსურათები) თბილისის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას სსიპ ქონების მართვის სააგენტოში (ოფიციალური საიტი: http://iauction.ge/, სერვისი – ხაზობრივი ნაგებობა, მომსახურება - სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა).

ასევე, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი სქემატური ნახაზით არ დგინდება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საპროექტო ქსელის (ასევე ბოძის) ზუსტი ტრაექტორია და არ არის წარმოდგენილი საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელ. ვერსია (shp file).

2. განმცხადებელს სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემისთვის გადახდილი საფასური დაუბრუნდეს პირველი მოთხოვნისთანავე, უარყოფითი გადაწყვეტილების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის განმავლობაში სააგენტოსთვის

თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N 7
ტელ: (+995 32) 37 81 27 Email: auction@tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge
www.iauction.ge

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, შემდგომი გამოყენების ან/და სამუშაოების წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის 16.02.11წ. №03.31.100 დადგენილება, ,,ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ აქტის გამოცემის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის №05.44.204 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მერის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის №17.19.830. დადგენილება

თბილისი, წერეთლის ქუჩა N 7
ტელ: (+995 32) 37 81 37 Email: auction@tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge
www.iauction.ge